ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3245859

ნომერი: AR1498088

თარიღი : 24.04.2017

გაცემის თარიღი : 10.05.2017

გაცნობის თარიღი : 11.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065) / ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი 09/074) / ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კეკელია პ/ნ 01009008818
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კორ. 19 ბ. 30

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1498088 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქალაქ თბილისში, #01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულზე მშენებლობის ნებართვის გაცემას და ითხოვთ

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 4 მაისის #3243217 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065) / ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი 09/074) / ქალაქი თბილისი , ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორია, შპს "ლოქეიშნ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.05.009.098), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 04.05.2017 -დან 04.11.2019 -ის ჩათვლით.
სამსახურის მიერ #3243217 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტი გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მისი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.